8 ბურთი ბადეში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 22 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) - “არარატი” (ერევანი) 5:3 (4:2).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, სიჭინავა (კუტივაძე), ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“არარატი”: დემირჩიანი, სარქისიანი, აბრამიანი, ოვსებიანი, მესროპიანი, ზანაზანიანი, ეგიაზარიანი, ოვივიანი, მელქუმოვი, კოვალენკო (ბონდარენკო), კაზარიანი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

8 გოლი ერთ მატჩში! კარგა ხანია არ გვინახავს ასეთი “მოსავლიანი” თამაში ჩვენს სტადიონზე. ბურთები მეტისმეტად იოლად გადიოდა ორივე გუნდის კარში და რა თქმა უნდა, ეს დაცვის სუსტი თამაშით უნდა აიხსნას. ეს პირველ ყოვლისა ეხება თბილისის “დინამოს”.

ჩვენი გუნდის დაცვაზე წლეულს ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. და სამართლიანადაც. იგი გამოირჩეოდა მაღალი მობილუობით, ზუსტი ურთიერთმოქმედებით, საუკეთესო დაზღვევით. გოლის გატანა თბილისელთა კარში ყველასთვის რთულ პრობლემას წარმოადგენდა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო მწყობრიდან გამოვიდა ჭელიძე, ეს მონოლითურობა დაირღვა. ჩვენი მცველები ხშირად გამოდიან წონასწორობიდან, კარგავენ ურთიერთკავშირს, უმისამართოდ იგერიებენ ბურთს, არ არიან საჭირო კონტაქტში მეკარესთან.

ყველაფერი ეს ეხება განვლილ მატჩსაც “არარატთან”. დინამოელთა საჯარიმო მოედანზე ხშირად ქაოსი სუფევდა და ურუშაძეს რომ არ აეღო მელქუმოვის პენალტი, ჩვენს პასივს კიდევ ერთი ბურთი მიემატებოდა. შეცდომებს უშვებდა ყველა, განსაკუთრებით, განაპირა მცველები, თუმცა პანიკის საფუძველი მათ მაინცდამაინც ბევრი არაფერი ჰქონდათ.

ანალოგიური ამბავი იყო “არარატის” კართანაც. აქ შექმნილ საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონდა. სარქისიანი აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა მესხის წინაშე და ამიტომ იყო, რომ მასპინძელთა შეტევის მარცხენა ფლანგიდან წვიმასავით მოდიოდა გადაცემები ცენტრში. მესროპიანს და აბრამიანს ორჯერ ზედ კარის ხაზიდან მოუხდათ ბურთის გამოტანა, როცა დემირჩიანს თავისი პოსტი დატოვებული ჰქონდა. ეს რომ არა, მატჩის ანგარიში “ასტრონომიულ” ციფრს მიაღწევდა.

პირველი ბურთი გატანილ იქნა დასაწყისშივე, მე-4 წუთზე. მესხმა ზუსტად მიაწოდა ბურთი ასათიანს, რომელმაც წამით დაასწრო “არარატის” სტოპერებს და თავით შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა.

ამის შემდეგ თბილისელებს ანგარიშის გაზრდის სულ ცოტა 2-?? შესაძლებლობა ჰქონდათ (ნოდია, პეტრიაშვილი, ასათიანი), მაგრამ მათ საბოლოო დარტყმების სიზუსტე აკლდა. ამავე დროს, ერევნელებმა რამდენიმეჯერ შეძლეს “დინამოს” დაცვის რიგების დაძლევა და ხელსაყრელ პოზიციაში გასვლა. მათი ერთ-ერთი კონტრშეტევისას მელქუმოვმა შორიდან დაარტყა კარში, ურუშაძეს ამ მომენტში არ ეკავა სწორი პოზიცია, ვერ აუღო ალღო ბურთის მიმართულებას და სავსებით ელემენტარული გოლი გაუშვა - 1:1.

ეს მოხდა 24-ე წუთზე და სულ მალე, ორიოდე წუთის შემდეგ კიდევ უფრო უხეში ტექნიკური შეცდომა დაუშვა დემირჩიანმა. მას ხელიდან გაუვარდა მეტრეველის მიერ გარტყმული ბურთი, რომელიც ნელა შეგორდა ბადეში.

39-ე წუთისთვის ტაბლოზე უკვე 4:1 ეწერა დინამოელთა სასარგებლოდ და ორივე ამ გოლის ავტორი იყო ნოდია. ჯერ მან საუცხოოდ გაითამაშა კომბინაცია პეტრიაშვილთან. ხოლო შემდეგ ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა კარში მესხის მიერ კარგად მიწოდებული ბურთი.

4:1 - ეს სავსებით საკმარისი გარანტიაა გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ დინამოელებმა სათუოდ გაიხადეს ეს გარანტია და უკვე მოგებული მატჩი ხელახლა მოსაგები შეიქნა. 44-ე წუთზე ჩვენმა მცველებმა ხეირიანად ვერ მოიგერიეს შორიდან დარტყმული საჯარიმო ბურთი, რომელსაც დროზე მიუსწრო დაცვიდან წინ გამოსულმა აბრამიანმა, მერე კი, მეორე ტაიმის დასაწყისში, ურუშაძემ და ასათიანმა სრულიად მარტივ ვითარებაში, ბურთის გათამაშებისას, იგი ბონდარენკოს შეატოვეს ფეხებში და ანგარიში გახდა 4:3.

და მაინც, თბილისელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. თამაში გამოაცოცხლა კუტივაძემ, რომელიც სიჭინავას მაგივრად გამოვიდა მინდორზე. მარჯვენა ფლანგზე გათამაშდა რამდენიმე სწრაფი კომბინაცია. ერთ-ერთი მათგანისას ნოდიამ მარცხნივ გადასცა ბურთი მესხს და "არარატის" კარი მეხუთედ იქნა აღებული - 5:3.

ერევნელებს მიეცათ ანგარიშის სხვაობის შემცირების რეალური შანსი, როცა მასპინძელთა კარში 65-ე წუთზე პენალტი დაინიშნა. ურუშაძემ, რომლისთვისაც პენალტების აღება "ვიწრო სპეციალობად" იქცა, შესანიშნავად აიღო მელქუმოვის ბურთი.

და ბოლოს, მსაჯობის შესახებ: ხოდინმა რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა და ვერ შეძლო წესრიგის დამყარება მინდორზე.

რ. ქორიძე

***

ბოლო მატჩებმა ცხადყო, რომ თანდათან შედის საბრძოლო ფორმაში თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია.

"ლელო", 28 აგვისტო, 1968 წ.